

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის
სახელმწიფო კოლეჯი



2019-2020 სასწავლო წლის
სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისი 2020

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯმა 2019 წელს წარმატებით გაიარა რეავტორიზაციის პროცედურა და მას 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. კოლეჯის მისიიდან გაგმომდინარე, ჩვენი ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებები - სასპორტო პროგრამები, ასევე სპორტთან მჭიდრო კავშირში მყოფი დარგები, როგორებიცაა - მასაჟი და რეაბილიტაცია, რეპორტიინგი, სამთო გამყოლი.

ამჟამად კოლეჯში ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს.

- მწვრთნელის პროგრამა (IV საფეხური)
- სამთო გამყოლი (V საფეხური)
- მასაჟისტ-რეაბილიტატორი (V საფეხური)
- ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი (IV საფეხური)

ამჟამად კოლეჯში, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში სწავლობს 201 სტუდენტი. კოლეჯის სასწავლო ფართში განთავსებულია 14 აუდიტორია, 4 დარგობრივი კაბინეტი - მასაჟის, სამთო გამყოლის, რეპორტიორისა და ანატომიის. პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, კოლეჯი ასევე სარგებლობს სპორტის უნივერსიტეტში არსებული სტადიონებით, სპორტული დარბაზებით და სატრინაჟორო ოთახით. აღნიშნული ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესახებ კოლეჯსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელების მიზნით სპორტის კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან. სასწავლო-სამეწარმეო პრაქტიკის გავლის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სპორტულ ფედერაციებთან, რაც საშუალებას იძლევა ვისარგებლოთ სპორტული დარბაზებითა და საცურაო აუზით. მწვრთნელისა და სამთო გამყოლის სტუდენტები უკვე მეორე წელია სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას გადიან ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზაზე. რაც შეეხება მასაჟისტ-რეაბილიტატორის პროგრამას, კოლეჯის სტუდენტები ტატიშვილის კლინიკის მომსახურებით სარგებლობენ. რეპორტიორები კი საწარმოო პრაქტიკას ჩვენი ქვეყნის ყველაზე უხუცეს სპორტულ გამოცემასთან გაზეთ „ლელოსთან“ თანამშრომლობენ.

დასქმების მაჩვენებელი: სპორტის კოლეჯის კურსდამთავრებულების უმეტესობა სპეციალობით არიან დასქმებული, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ შეგროვებული მონაცემები, რომელსაც სტუდენტებთან უკუკავშირის შედეგად ვაწარმოებთ.

2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულება

გეგმის მიხედვით 2020 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში უნდა მომხადრიყო ძველი საგნობრივი პროგრამების ჩანაცვლება ახალი მოდულური პროგრამებით. ჩვენ უკვე რამდენიმე წელია ვმუშაობთ სპორტული მიმართულების სტდენტარტისა და მის საფუძველზე ახალი პროგრამის შემუშავებაზე. ამ მიზნით აქტიურად ვთანამშრომლობთ განათლების სამინისტროსა და ხარისხის ცენტრთან. გვქონდა რამდენიმე შეხვედრა. მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები. თუმცა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო და ჩვენგან დამოუკიდებელი ფაქტორების გამო ეს პორცესი შეჩერდა. შესაბამისად ვერ მოხერხდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

იმის გათვალისწინებით, რომ ოთხივე პროგრამა მიღევად რეჟიმშია და ვერ მოხერხდა მათი ჩანაცვლება ახალი პროგრამებით, შესაბამისად არ განხორციელებულა ახალი ნაკადის მიღება.

პრობლემები შეიქმნა პროფესიული მომზადებ/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატების კუთხითაც. აღნიშნული პროგრამების დამატების მიზნით, კოლეჯს უნდა წარმოედგინა შენობის მდგრადობის შესახებ ინფორმაცია. თუმცა, ვინაიდან შენობა, სადაც ჩვენი კოლეჯია განთავსებული, ავარიულ მდგომარეობაშია და შესაბამისად ვერც ამ ამოცანის შესრულება განხორციელდა.

მოკლედ რომ ვთქვათ სტრატეგიული მიზანი 1 არ შესრულებულა. შესაბამისად მასზე მუშაობა მომდევნო სასწავლო წლის გეგმაში გაიწერება.

რაც შეეხება მეორე სტრატეგიულ მიზანს - პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ამ კუთხით ყველა დასახული ამოცანა შესრულებულია. დაიგეგმა და წარმატებით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. კოლეჯის თანამშრომლები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები ხარისხის ცენტრის, მასწავლებლის სახლისა და განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სემინარებში.

კოლეჯი ჩართო საქმისწარმოების ელექტრონულ ბაზაში და ამ მიმართულებითაც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგი.

სტრატეგიული მიზანი 3. დაგეგმილი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა/განახლება.

რეავტორიზაციის გავლის მიზით, კოლეჯმა ი.ჭავჭავაძის 49-ში არსებულ ფართში შეასრულა სარემონტო სამუშაოები, მოხდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ვებ-გვერდის სრული რეორგანიზაცია/განახლება. კოლეჯმა შეიძინა ახალი კომპიუტერები, როგორც ადმინისტრაციისთვის, ასევე კომპიუტერული კლასისთვის.

ახალი წიგნებით შეივსო ბიბლიოთეკა. ქუთაისის ფილიალი ახალ მისამართზე გადავიდა და რეავტორიზაციის პროცესი იქაც წარმატებით დასრულდა.

სტრატეგიული მიზანი 4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; კოლეჯის ცნობადობის ამაღლება და სტუდენტების ჩართულობა სასწავლო პროცესში. 2019 წლის საშემოდგომო მიღებაზე კოლეჯმა მხოლოდ ერთ პროგრამაზე მოახდინა სტუდენტების მიღება. ამის მიუხედავად, კოლეჯი აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ პროფესიულ განათლებაში სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს. კოლეჯის მასწავლებლები, რომლებიც ასევე არიან დარგის სპეციალისტები და მუშაობენ სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებში, უზრუნველყოფენ სტუდენტების მოზიდვას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კოლეჯში ამჟამად სწავლობენ სტუდენტები, რომლებაც დაასრულეს ერთი პროგრამა (მწვრთნელის) და ამჟამად სწავლობენ მასაჟისტ-რეაბილიტატორის პროგრამაზე. ეს სტუდენტები რეგიონების წარმომადგენლები არიან, რომლებსაც საკუთარ სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში სექციები მიყავთ.

იმის გათვალისწინებით, რომ 2020წლის საშემოდგომე მიღებისთვის იმედს ვიტოვებდით, რომ გვექნებოდა ახალი სასპორტო მიმართულების პროგრამა, ვგეგმავდით სკოლებში ღონისძიებების ჩატარებას, სარეკლამო ბუკლეტების გამოშვებას. თუმცა ეს აქტივობებიც 2020-2021 წლებისთვის გადაიდო.